ელენე გურეშიძე | ალექსანდრე ლაცაბიძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
egure20@freeuni.edu.ge | a.latsabidze@freeuni.edu.ge

საქართველო და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) – ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობა და სამომავლო პერსპექტივები

რეზიუმე

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საქართველოს პარტნიორობა 30 წელზე მეტს ითვლის, რომლის განმავლობაშიც ქვეყანამ საგრძნობლად დახვეწა საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურები. ნატო-საქართველოს პარტნიორობას უმნიშვნელოვანესი ღირებულება აქვს არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, არამედ საქართველოს ინსტიტუციური მედეგობის გაზრდისთვის და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებისთვის, რის გამოც აუცილებელია, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს არსებული თანამშრომლობა. ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხი საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალური რუსეთ-უკრაინის ომის დროს გახდა, როდესაც ევროინტეგრაციისა და ნატოში გაწევრიანების თემატიკა ხელახალი სიცხადით მოექცა ქართულ პოლიტიკურ დისკურში. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიმდინარე ნაშრომში განხილულია ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობა და წვლილი, რომელიც ალიანსს საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებაში შეაქვს.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, თავდაცვა, ევროატლანტიკური სტრუქტურები, ნატო, საქართველო.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა არაპროვოცირებულმა ომმა შეარყია ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც ცივი ომის შემდგომ იყო ჩამოყალიბებული (Polyakova 2023). უკრაინის ომმა და გეოპოლიტიკური კრიზისებით გამოწვეულმა ძვრებმა განსაკუთრებით კრიტიკული უსაფრთხოების დილემის წინაშე დააყენა შავი ზღვის რეგიონში მდებარე ისეთი ქვეყანა, როგორიცაა საქართველო (Flanagan 2020). საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიული მთლიანობა ამჟამად რუსეთის ფედერაციის მიერ არის დარღვეული, ცხადად გამოჩნდა რუსეთის ექსპანსიონიზმის საფრთხეები. შესაბამისად ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემების მედეგობის მნიშვნელობა კიდევ უფრო პრიორიტეტული და ეგზისტენციალური მნიშვნელობის გახდა (Kakachia 2022). საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემების გაძლიერებასა და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფას უკავშირდება საქართველო-ნატოს ურთიერთობის საკითხი, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით აქტუალური მიმდინარე პერიოდში გახდა (Temnycky 2022).

ნატო-საქართველოს ურთიერთობის საწყისი ეტაპები

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, რომელიც ამავე დოკუმენტის 78-ე მუხლით არის კოდიფიცირებული (საქართველოს კონსტიტუცია

1995)[1]. ევროკავშირში ინტეგრაციასთან ერთად აღნიშნული პუნქტი მოიცავს ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანების მისწრაფებას, როგორიცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

ნატოსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობას საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას სწორედ ევროატლანტიკური ინტეგრაცია იყო.

ნატო-საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობა

ნატოსთან თანამშრომლობა არა მხოლოდ ეხმარება საქართველოს, რომ პოლიტიკური კოოპერაციის ხარისხი გააღრმაოს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო- პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, არამედ ქვეყანას საშუალებას აძლევს, რომ პრაქტიკული თანამშრომლობის კუთხითაც პროგრესული ნაბიჯები გადადგას. პრაქტიკული ნაბიჯებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), რომელიც 2014 წელს უელსის სამიტის დროს დაფუძნდა (NATO 2016). აღნიშნული ყოვლისმომცველი ინიციატივის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერება და ქვეყნის დაახლოება ნატოს სტანდარტებთან (საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2024). ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის პრიორიტეტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვითი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები, საქართველოს მედეგობის გაზრდა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ქვეყნის თავსებადობის ზრდა ნატოს სტანდარტებთან შესაბამისად. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაქტიკული მხარდაჭერა კიბერუსაფრთხოების, საზღვაო უსაფრთხოებისა და საკომუნიკაციო არხების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით (NATO 2016). საქართველო-ნატოს თანამშრომლობა აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანას ნატოს სამხედრო ოპერაციებსა და წვრთნებში შეუძლია მონაწილეობის მიღება (Paul and Maisuradze 2021). მაგალითად, საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ავღანეთში „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების“ ერთ-ერთი უმსხვილესი ნატოს არაწევრი კონტრიბუტორი (NATO 2024). ხაზგასასმელია აგრეთვე ოპერაცია Active Endeavour, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში კონტრტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას გულისხმობდა. ამჟამად კი ნატო და საქართველო აქტიურად თანამშრომლობენ საზღვაო უსაფრთხოების მიმართულებით ოპერაცია „ზღვის მცველის“ ფარგლებში (NATO 2024). 2022 წელს აღნიშნულმა თანამშრომლობამ თვისებრივად ახალ საფეხურზე გადაინაცვლა, როდესაც ნატომ საქართველოს ალიანსის საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციული პარტნიორის სტატუსი მიანიჭა. საქართველო იყო ალიანსის პირველი არაწევრი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ასეთი სტატუსი (Civil Georgia 2023).

1 საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. ვრცლად: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36ნატოსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები განსაკუთრებით გაღრმავდა 1994 წელს, როდესაც საქართველო შეუერთდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამას. საქართველო-ნატოს თანამშრომლობის კონტექსტში აუცილებლად აღსანიშნავია 2002 წლის პრაღაში გამართული ნატოს სამიტი, სადაც საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირველად გაახმოვანა ნატოში გაწევრიანების სურვილი (საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2024). თანამშრომლობის დონე კი თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც საქართველომ უფრო ამბიციური და პროდასავლური რეფორმების გატარება დაიწყო (Wilson 2014). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და უპრეცედენტო მოვლენა იყო 2008 წლის ბუქარესტის სამიტი, სადაც ნატოს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს განუცხადეს, რომ იგი ალიანსის წევრი ქვეყანა გახდებოდა შესაბამისი რეფორმების გატარებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ. პოლიტიკური მხარდაჭერა არც მაშინ შეწყვეტილა, როდესაც 2008 წლის ომის შედეგად რუსეთმა საქართველოს სუვერენული ტერიტორიების 20%-ის ოკუპირება მოახდინა. ამავე წელს დაფუძნდა ნატო-საქართველოს კომისია, რომელიც პოლიტიკური დიალოგისთვის და საქართველოს ევროატლანტიკური რეფორმების წახალისებისთვის ინსტიტუციურ ჩარჩოს ქმნის (NATO 2024). განსაკუთრებით აღსანიშნავია 2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტი, რომლის დროსაც მოკავშირეებმა აღიარეს საქართველოს რთული გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების სიტუაცია და მხარი დაუჭირეს ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავებას (NATO 2022).

ნატოს მნიშვნელობის განხილვა რეალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის პრიზმიდან

ნატოს მნიშვნელობის განხილვა საქართველოს კონტექსტში საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიული ჭრილიდან არის შესაძლებელი. განსაკუთრებით რელევანტური კი აღნიშნულ კონტექსტში რეალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიული ჩარჩოებია. რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემაში მთავარი აქტორები არიან სუვერენული სახელმწიფოები, რომლების უმთავრესი მიზანი არის გადარჩენა და ძალაუფლებისკენ მაქსიმალურად სწრაფვა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, უსაფრთხოება და თვითგადარჩენა სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებზე არსებით გავლენას ახდენს (Collins 2022). შესაბამისად, რეალიზმის ჭრილის მიხედვით, ისეთ სამხედრო ალიანსთან თანამშრომლობა, როგორიცაა ნატო, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების განმტკიცებისთვის, ვინაიდან სწორედ ასეთ ორგანიზაციასთან პრაქტიკული და პოლიტიკური კოოპერაცია უზრუნველყოფს ქვეყანას შესაბამისი რესურსებით, რაც მას შეკავების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებაში ეხმარება (Malek 2008). აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმდინარე გეოპოლიტიკური კრიზისების დროს, როდესაც საზღვაო უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება და ინსტიტუციური მედეგობა ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს პრიორიტეტებად იქცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნატოსთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ისეთი თეორიის პერსპექტივიდანაც, როგორიცაა სოციალური კონსტრუქტივიზმი. აღნიშნული სკოლის მიხედვით, ობიექტური რეალობა, როგორც ასეთი, არ არსებობს, არამედ ნებისმიერი ინტერაქცია სუბიექტურად ფორმირდება ადამიანების მიერ. შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღირებულებებს, იდეურ ცვლადებს, აღქმებსა და წარმოდგენებს (Jackson 2016). ამ კუთხით საქართველო-ნატოს თანამშრომლობა კვლავ უკიდურესად მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან მსგავსი სახის ურთიერთობა ეხმარება ქვეყანას, რომ შეინარჩუნოს კონსტიტუციურად გაცხადებული ევროატლანტიკური კურსი და დასავლური სტანდარტების შესაბამისად განავითაროს საკუთარი ინსტიტუციები და დემოკრატიული რეფორმები (Kakachia 2024). ეს კი არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურაზე აისახება, არამედ საქართველოს დასავლეთისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ნატო საქართველოს ღირებულებათა ჭრილშიც ეხმარება და ქვეყანას დასავლურ ინსტიტუციებთან აახლოებს, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისთვის (Temnycky 2022).ნატო უმსხვილესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატო-საქართველოს შორის ურთიერთობა მას შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ევროატლანტიკური მისწრაფებების სურვილი გამოთქვა. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობით ეხმარება ქვეყანას, რათა საქართველომ განიმტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება და თავდაცვის მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვანი რეფორმები გაატაროს. ნატოსთან პარტნიორობა უმნიშვნელოვანესია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელიც შავი ზღვის რეგიონში დიდი ძალების ინტერესების დაპირისპირების შორის არის მოქცეული. ჩრდილო ატალანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ორგანიზაციის მიერ მოწოდებული რესურსების გამოყენებით და ალიანსის ეგიდით გამართულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებით, ქვეყანა აძლიერებს ინსტიტუციურ მდგრადობას, უსაფრთხოების სტრუქტურებს და უზრუნველყოფს თავდაცვითი სექტორის რეფორმირებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის ომისა და რეგიონული არასტაბილურობის პირობებში.

ბიბლიოგრაფია

ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი. ნატო-საქართველოს. თანამშრომლობის ისტორია. Accessed 11 ივნისი, 2024. https://infocenter.gov.ge/nato-georgia/nato-georgia-history/

საქართველოს კონსტიტუცია. 24 აგვისტო, 1995. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველო ნატო-ს ურთიერთობები.

Accessed 10 აგვისტო, 2024. https://mfa.gov.ge/ka/nato/232016-saqartvelo-nato-s-urtiertobebi

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) 2016. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი *(SNGP).* საინფორმაციო ფურცელი, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_02/20160205_1602-factsheet- sngp-geo.pdf

Alina Polyakova, Edward Lucas, Mathieu Boulègue, Catherine Sendak, Scott Kindsvater, Ivanna Kuz, and Sasha Stone. 2023. *A New Vision for the Transatlantic Alliance: The Future of European Security, the United States, and the World Order after Russia's War in Ukraine*. CEPA. https://cepa.org/comprehensive-reports/a-new-vision-for-the-transatlantic-alliance-the- future-of-european-security-the-united-states-and-the-world-order-after-russias-war-in- ukraine/

Civil Georgia. *Georgian Coast Guard Officers Join NATO's 'Sea Guardian' Operation.* July 12, 2023. https://civil.ge/archives/558838

Collins, Alan. 2022. *Contemporary Security Studies*. Oxford University Press. German. Council on Foreign Relations. *Zeitenwende*. Accessed June 11, 2024.

https://dgap.org/en/research/expertise/zeitenwende.

Kornely Kakachia, Anar Valiyev, Hanna Shelest, Bidzina Lebanidze, Maksym Khylko, Ahmad Alili, Salome Kandelaki. 2022. *The Black Sea Security after Russian Invasion of Ukraine: Views from Ukraine, Georgia, and Azerbaijan.* Policy Paper No. 31, Tbilisi: Georgian Institute of Politics.

Kornely Kakachia, Bidzina Lebanidze, Salome Kandelaki. 2024. *The Next Stage in NATO-Georgia Relations*:. Policy Paper, Tbilisi: Georgian Institute of Politics.

Malek, Martin. 2008. *"NATO and the South Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia on Different Tracks."* Connections, Vol. 7, No. 3 30-51. https://www.jstor.org/stable/26323347?searchText=nato+georgia&searchUri=%2Faction%2Fd oBasicSearch%3FQuery%3Dnato%2Bgeorgia%26so%3Drel&ab_segments=0%2Fbasic_search

_gsv2%2Fcontrol&refreqid=fastly-default%3Ae1ee171982abce0fc1d7f20211bd5828&seq=1

NATO. 2022. Madrid Summit Declaration (Issued by NATO Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Madrid 29 June 2022). June 29. Madrid Summit Declaration.

NATO. 2024. Relations with Georgia. March 7. Relations with Georgia

Paul, Amanda, and Iana Maisuradze. 2021. NATO and Georgia 13 years on: So close, yet so far

Commentary, European Policy Centre.

Robert Jackson, Georg Sorensen, Jorgen Moller. 2016. Intoduction to International Relations: Theories and Approaches. Oxford University Press.

Stephen J. Flanagan, Anika Binnendijk, Irina A. Chindea, Katherine Costello, Geoffrey Kirkwood, Dara Massicot, Clint Reach. 2020. Russia, NATO, and Black Sea Security. Rand Corporation. https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA357-1.html.

Temnycky, Mark. 2022. NATO Membership Requests: Georgia and Ukraine Should Not Be Forgotten.

May 9. NATO Membership Requests: Georgia and Ukraine Should Not Be Forgotten.

Wilson, Damon. 2014. Georgia's Path to NATO. Research Report, Atlantic Council. http://www.jstor.org/stable/resrep03414.